მეორე წრის პირველი მატჩი

მოსკოვი. 26 ივლისი (ტელეფონით).

მეორე წრის პირველ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის "სპარტაკი" და თბილისის "დინამო".

თბილისელებმა თამაში იერიშით დაიწყეს, მაგრამ "სპარტაკმა" მალე შეძლო ინიციატივის ხელში აღება. 25–ე წუთზე გათამაშებულ იქნა კომბინაცია სალნიკოვი–სიმონიანი–მოზერი, რომელიც დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლით – 1:0. ცოტა ხანში ილინმა ანგარიში ორამდე გაზარდა, მაგრამ ტაიმის დასასრულამდე გაგნიძემ შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა – 2:1.

სულ ხუთი წუთი იყო გასული მეორე ტაიმის დაწყებიდან და სალნიკოვმა და ისაევმა (11–მეტრიანი საჯარიმოდან) ანგარიში 4:1–მდე აიყვანეს. მე–18 წუთზე ილინის დარტყმის შემდეგ თბილისელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში – 1:5.

მხოლოდ მატჩის უკანასკნელ 90–ე წუთზე შეძლეს დინამოელებმა მეორე ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა "სპარტაკის" სასარგებლოდ – 5:2.

"ლელო", 27 ივლისი, 1958 წ.